

აღზრდის სტილი, დაბადების რიგითობა და პერფექციონიზმი

აღზრდის სტილისა და დაბადების რიგითობის კავშირი  
პერფექციონიზმთან მოზარდებში

თამარი ბერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან კახიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025 წ.

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

## აბსტრაქტი

წარმოდგენილ კვლევაში განხილულია კავშირი აღზრდის სტილებსა და პერფექციონიზმს შორის, ასევე ნაკვლევა დაბადების რიგითობის მიხედვით პერფექციონიზმის მაჩვენებელი მოზარდებში. ბაუმრინდის თეორიის მიხედვით, აღზრდის სამი სტილი გამოიყოფა: ავტორიტეტული, ავტორიტარული და ლიბერალური. პერფექციონიზმი განიხილება როგორც ზოგადი ტენდენცია, რომელიც აისახება საკუთარი თავისადმი მაღალი მოთხოვნებითა და სრულყოფისკენ სწრაფვით. პერფექციონიზმი თანამედროვე ფსიქოლოგიაში პიროვნების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდის აკადემიურ მოტივაციაზე, თვითშეფასებასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე. მისი ჩამოყალიბების მექანიზმების — მათ შორის აღზრდის სტილებისა და დაბადების რიგითობის — უკეთ შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც თეორიული კვლევისთვის, ისე პრაქტიკული ჩარევების დაგეგმვისთვის. მოცემულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 15-დან 18 წლამდე ასაკის 126-მა რესპოდენტმა. პრედიქტორისა და შედეგის ცვლადების საკვლევად გამოვიყენე შესაბამისი კითხვარები. მონაცემების სტატისტიკურად დამუშავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ არსებობს დადებითი კავშირი აღზრდის სამივე სტილსა და პერფექციონიზმს შორის, თუმცა ყველაზე ძლიერად აღზრდის ავტორიტარული სტილი პროგნოზირებს პერფექციონიზმს მოზარდებში, რაც იმას ნიშნავს, რომ მშობლების მხრიდან მკაცრი მოთხოვნები და კონტროლი ზრდის სრულყოფილებაზე ორიენტირებული ქცევის განვითარების ალბათობას. რაც შეეხება, დაბადების რიგითობასა და პერფექციონიზმს, მონაცემების დამუშავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ დაბადების რიგით პირველმა მოზარდებმა აჩვენებს პერფექციონიზმის უფრო მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე ყველა სხვა რიგით დაბადებულმა მოზარდებმა.

აღზრდის სტილი, დაბადების რიგითობა და პერფექციონიზმი

ძირითადი საძიებო სიტყვები: პერფექციონიზმი, აღზრდის სტილები, დაბადების რიგითობა, მოზარდობა.

### Abstract

The present study examines the relationship between parenting styles and perfectionism, as well as the levels of perfectionism among adolescents based on birth order. According to Baumrind's theory, three parenting styles are distinguished: authoritative, authoritarian, and permissive. Perfectionism is conceptualized as a general tendency characterized by high personal standards and a striving for flawlessness. In contemporary psychology, perfectionism is regarded as a significant factor in personality development, influencing academic motivation, self-esteem, and psychological well-being. Understanding the mechanisms underlying perfectionism— including parenting styles and birth order— is important for both theoretical research and practical intervention planning. The study involved 126 respondents aged 15 to 18. Appropriate questionnaires were used to assess predictor and outcome variables. Statistical analysis of the data revealed a positive relationship between all three parenting styles and perfectionism; however, the authoritarian parenting style was the strongest predictor of perfectionism among adolescents. This suggests that strict demands and control from parents increase the likelihood of developing perfectionistic behaviors focused on flawlessness. Regarding birth order and perfectionism, the analysis showed that first-born adolescents exhibited higher levels of perfectionism compared to adolescents born in other birth order positions.

Keywords: Perfectionism, Parenting Styles, Birth Order, Adolescence.

## მადლობა

გაწეული დახმარებისთვის, მინდა მადლობა გადავუხადო, ჩემი სამაგისტო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს დარეჯან კახიანს. მისი რჩევები, რეკომენდაციები და ოპერატიულად დაბრუნებული უკუკავშირი ძალიან დამეხარა მოცემული ნაშრომის დასრულებაში.

მინდა მადლობა გადავუხადო იმ მოსწავლეებს, რომლებმაც დამითმეს თავიანთი დრო და შემივსეს კითხვარები. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო 129-ე სკოლის დირექტორს, რადგან ნება დამართო ამ სკოლაში შემეგროვებინა ჩემი კვლევისთვის საჭირო მონაცემები.